თემატური საკითხები სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის

კონსოლიდაციური კლინიკური პრაქტიკა

1. ორსულობა. ანტენატალური მეთვალყურეობა, სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული ვიზიტების რაოდენობა და შინაარსი. მარტივი ლაბორატორიული კვლევები, ულტრაბგერითი კვლევების მნიშვნელობა. გენეტიკური ანომალიების სკრინინგი, სხვა სკრინინგული კვლევები ორსულობის დროს.
2. მაღალი რისკის მქონე ორსულის მართვა. მაღალი რისკის მქონე ორსულებისთვის ანტენატალური მეთვალყურეობის ინდივიდუალური გრაფიკის შექმნა. ექსტრაგენიტალური დაავადებები და ორსულობა.
3. ნაყოფის ფეტოკარდიომონიტორინგი. მისი ჩატარების ჩვენება, ტექნიკა. მრუდის ჩაწერა. მრუდის წაკითხვის წესი. სამკატეგორიანი კლასიფიკაცია, მოქმედების ალგორითმი.
4. მშობიარობის დაწყების ნიშნები. მშობიარე მიმღებში. ბებიაქალის მოვალეობები სამეანო მიმღებში. მშობიარის სიმაღლის და წონის განსაზღვრა. გესტაციური ვადის გამოთვლა. ნაყოფის მდებარეობის და წინმდებარეობის შეფასება. ნაყოფის სავარაუდო წონის გამოთვლა, ნაყოფის გულისცემის აუსკულტაცია. მშობიარის ჰიგიენური საჭიროებები მიმღებში. პროტეინურიაზე ტესტის ჩატარების ტექნიკა, ინტერპრეტირება. სანაყოფე სითხის არადროული დაღვრის დიაგნოსტირება, აღმავალი ინფექციის პროფილაქტიკა.
5. მშობიარობის პირველი პერიოდი, თავისუფალი პოზიცია მშობიარობის პირველ პერიოდში, ბებიაქალის როლი მშობიარის ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერაში. ნაყოფის გულისცემის მონიტორინგი, მშობიარის ვიტალური პარამეტრების მონიტორინგი. პარტოგრამა, მისი შევსების წესი. გაუტკივარება

მშობიარობის დროს. სამშობიარო მოქმედების პრიგრესი, საშვილოსნოს ყელის დილატაციის და ნაყოფის წინმსვლელობის პროგრესი.

6. ნორმიდან გადახრა მშობიარობის პირველი პერიოდის დროს, გახანგრძლივებული პირველი პერიოდი, სამშობიარო მოქმედების სისუსტე, მდგრადი სისუსტე, სამშობიოარო მოქმედების სტიმულაცია ოქსიტოცინით, პამპის და იმფუზომატის გამოყენების წესები. ნაყოფის არაკეთილსაიმედო მდგომარეობა მშობიარობის დროს. დიაგნოსტირება, CTG მშობიარობის პროცესში, ნაყოფის საშვილოსნოსშიდა რეანიმაციის წესები. სისხლდენა მშობიარობისას. მიზეზები. ჭიპლარის გამოვარდნა.
7. მშობიარობის მეორე პერიოდი. თავისუფალი პოზიცია მშობიარობის მეორე პერიოდში, ბებიაქალის როლი. ნაყოფის ნაწევართგანლაგება. დემონსტრირება მულაჟზე, პაციენტის საწოლთან ნაყოფის მდებარეობის და წინმდებარეობის დადგენა. ნაყოფის გულისცემის მონიტორინგი მშობიარობის მეორე პერიოდში. ჭინთვები დ მათი მართვა.
8. კეფით წინმდებარეობის წინა სახით მშობიარობის ბიომექანიზმი.
   დემონსტრირება მულაჟზე, ახალშობილის მიღება. შორისის დაცვა და შორისის „ არ დაცვა“. ეპიზიოტომია და მისი საჭიროება. ჭიპლარის გადაკვანძვა. სითბური ჯაჭვის დაცვა.
   ინსტრუმენტული მშობიარობა, ნაყოფის მხრების დისტოცია და სხვა გადაუდებელი მდგომარეობები მშობიარობის მეორე პერიოდში.
9. მშობიაროის მესამე პერიოდი. მისი მართვის მეთოდები. მშობიარობის მესამე პერიოდის აქტიური მართვა როგორც მშობიარობის შემდგომი სისხლდენის პროფილაქტიკა. მომყოლი, მისი შემადგენლობა, დათვალიერების წესი, ლოგინობის ადრეული ხანა, საშვილოსნოს შეკუმშვის კონტროლი, სისხლის დანაკარგის კონტროლი, ახალშობიალის დაბადების პირველ წუთებში მისი ვიტალური ფუნქციების კონტროლი

10. მრავალნაყოფიანი მშობიარობა. მისი მართვის თავისებურებანი. ნაყოფების გულის ცემის მონიტორინგი მრავალნაყოფიანი მშობიარობის დროს. მშობიარობის შემდგომი სისხლდენის მაღალი რისკის პროფილაქტიკა მრავალნაყოფიანი მშობიარობის დროს. ნაყოფების ნაწევართგანლაგების თავისებურებანი მრავალნაყოფიანი მშობიარობის დროს, მომყოლი და მისი ტიპები მრავალნაყოფიანი მშობიარობის დროს.
11. ნაყოფის მენჯით წინმდებარეობა. მშობიარობის მართვის თავისებურებანი (გულისცემის ლოკალიზაცია, წინმდებარე ნაწილის წინმსვლელობა) მენჯით წინმდებარეობის კლასიფიკაცია, დემონსტრირება მულაჟზე, სუფთა მენჯით წინმდებარეობით წინა სახით მშობიარობის ბიომექანიზმი. დემონსტრირება მულაჟზე. მენჯით წინმდებარეობით მშობიარობის დროს ნაყოფის ხელების და თავის გათავისუფლება. დემონსტრირება მულაჟზე.
12. პრეკლამპსია და ეკლამპსია. დიაგნოსტიკა, მართვა , მკურნალობა, მშობიარობის გზის არჩევა პრეეკლამპსიის დროს, ანტიკონვულსიური მკურნალობა, სქემა, ინფუზომატის გამოყენების წესი მაგნიუმის სულფატის იმფუზიის დროს. , პროტეინურიის ხარისხის დადგენა, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, რეგიონალური ანესთეზიის როლი პრეეკლამპსიის დროს.
13. მშობიარობის შემდგომი სისხლდენა. „ 4T” კლასიფიკაცია, საშვილოსნოს ჰიპოტონიის მკურნალობა, სისხლის დანაკარგის შეფასების მეთოდები, არაოპერაციული ღონისძიებები სისხლის დაკარგვის შემცირების მიზნით (მუცლის აორტის კომპრესია, გარეგანი და შინაგანი ბიმანუალური კომპრესია, ბაკრის ბალონით კომპრესი), მშობიარობის შემდგომი სისხლდენის დროს პაციენტის საოპერაციოში გადაყვანის კრიტერიუმები. ჰემოტრანსფუზია, და მისი თავისებურებანი. ჰემორაგიული შოკი.
14. საშვიოლოსნოს ღრუს ხელით რევიზია, ჩვენებები, გართულებები, ტექნიკა. რბილი სამშობიარო გზების დაზიანების სახეები და ხარისხები. მათი აღდგენის მეთოდები, გაუტკივარება სამშობიარო გზების აღდგენის დროს.

15. საკეისრო კვეთა. საკეისრო კვეთის ჩვენებები, წინასაოპერაციო მომზადება საკეისრო კვეთის დროს. ანესთეზიის სახეები საკეისრო კვეთის დროს, საკეისრო კვეთის ტექნიკა, გართულებები
16. მელოგინის და ახალშობიალის მოვლა. ნაკეისრალის მოვლა, ჭრილობის დამუშავება, საშვილოსნოს ინვოლუციის კონტროლი ლოგინობის ხანაში. ლოხიები. ლოხიების კონტროლი ლოგინობის ხანაში. ძუძუთი კვება, სარძევე ჯირკვლების მოვლა. ახალშობილის ძირითადი ვიტალური ფუნქციები , მათი კონტროლი.
17. ლოგინობის ხანის ცხელება, მასტიტი, ენდომეტრიტი, ჭროლობის ინფექცია, ფლებიტი, მიზეზები , დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
18. დოკუმენტაცია, ინფორმირებული თანხმობები და მათი არსი. სამედიცინო ისტორიის შევსების ძირითადი ასპექტები.